დანართი

კონფიდენციალური ინფორმაციის გაუთქმელობის შესახებ შეთანხმება

ქ. თბილისი 2020 წლის _____

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - თამარ გაბუნიას სახით, და მეორე მხრივ, ახალი კორონავირსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების კლინიკური აუდიტის განმახორციელებელი მოწვეული ექსპერტი _____ (შემდგომში - ექსპერტი), ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, ნების თავისუფალი გამოვლენისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუთქმელობის შესახებ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში - შეთანხმება), რომლითაც ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. კონფიდენციალური ინფორმაცია

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას და ასევე ამ შეთანხმების მიზნებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ექსპერტისთვის ცნობილი გახდა კლინიკური აუდიტის განხორციელების პროცესში.

მუხლი 2. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება

2.1. ექსპერტი კისრულობს ვალდებულებას, რომ კლინიკური აუდიტის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ, უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მიზნით ინფორმაციის შემდგომი დამუშავება ან გამჟღავნება, ასევე მესამე პირებისათვის გადაცემა, სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.3. ექსპერტი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

მუხლი 3. შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ძალაშია მანამდე, სანამ კლინიკური აუდიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ინარჩუნებს კონფიდენციალურობის სტატუსს ან სამინისტრო წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გაათავისუფლებს ექსპერტს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 4. დავის გადაწყვეტა

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უთანხმოება ან დავა გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი ამ შეთანხმების მიზნებისა და პირობების საწინააღმდეგოდ, გაამჟღავნებს ან ვერ დაიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ექსპერტს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

6.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა შეთანხმების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს სამინისტრო არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა შეთანხმების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

6.2. შეთანხმების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

[illegible] შემთხვევაში, თუ ექსპერტი ამ შეთანხმების მიზნებ[illegible]

6.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის პირველი მოადგილე -

თამარ გაბუნია:

კლინიკური აუდიტის განმახორციელებელი

მოწვეული ექსპერტი: